საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 10039/1
31/07/2019

10039-1-2-201907311502

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის**

**მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს**

**ბატონო ლევან,**

გაცნობებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" აზიის განვითარების ბანკის დაფინანსების ფარგლებში გეგმავს ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემების და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 იანვრის #2-94 ბრძანების საფუძველზე გაცემულია სკოპინგის #6 დასკვნა (28.01.2019).

სკოპინგის დასკვნის პირობებისა და საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ გარემოსდაცვით დოკუმენტაციას:

1. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზ;
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა (ზდგ) ნორმების პროექტი - 2ეგზ;
3. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 2 ეგზ;
4. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ;
5. საპროექტო ტერიტორიის Shape ფაილები;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

8. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტრურებელი დოკუმენტი.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული (CD დისკზე) ვერსიის სახით.

პატივისცემით,

ეკატერინე გალდავა

დირექტორი

ხელმძღვანელობა